ოქმი #3

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2019 წლის 24 აპრილის სხდომისა

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), თ. დათუაშვილი, რ. დუდუჩავა, ა. ელაშვილი, მ. ელიაშვილი, ნ. ინასარიძე, ხ. ინასარიძე, ბ. მესაბლიშვილი, ა. მესხი, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა, მ. ჯიბლაძე, გ. ჯორჯაძე, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 29 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 15 წევრი).

დღის წესრიგი:

1. თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისიის შექმნა.

მოისმინეს: ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2019 წლის 15 აპრილს თსუ რექტორის 12.04.2019 წ. # 87/01-01 ბრძანებით გამოცხადდა კონკურსი სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში – ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში სამეცნიერო პერსონალის - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერი თანამშრომელი - სამსახურში მისაღებად. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ თსუ რექტორს დასამტკიცებლად წარუდგინოს თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია.

მოისმინეს: სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თ. ქადეიშვილის, საბჭოს წევრების ხ. ინასარიძის, მ. ჯიბლაძის გამოსვლები, რომლებმაც ზემოთ აღნიშნული კომისიის წევრობის კანდიდატებად დაასახელეს: ივანე წერეთელი, გიორგი ხიმშიაშვილი, ალექსანდრე გამყრელიძე.

დაადგინეს:

1) წარედგინოს სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. **ივანე წერეთელი** - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
2. **გიორგი ხიმშიაშვილი** - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნდამენტური და ინტერდისციპლინარული მათემატიკური კვლევების ინსტიტუტის დირექტორი;
3. **ალექსანდრე გამყრელიძე** - კომპიუტერულ მეცნიერებათა დოქტორი, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.

2) თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციაა ზემოთ აღნიშნული საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე იყოს ი. წერეთელი, თავმჯდომარის მოადგილე - გ. ხიმშიაშვილი, ხოლო კომისიის მდივანი - ა. გამყრელიძე.

სხდომის თავმჯდომარე — თ. ქადეიშვილი

სწავლული მდივანი — ო. ჯოხაძე